საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 5 20 00418623

29/05/2020

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის ,,შინმოვლა“ პროფესიული მომზადების პროგრამის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის 2020 წლის 22 მაისის №402678 სამსახურებრივი ბარათის, ამავე სამსახურის პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორის 2020 წლის 28 მაისის №415340 სამ სახურებრივი ბარათის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების'' მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა'' და ,,ბ'' ქვეპუნქტების, მე-8 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის'' მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. უარი ეთქვას შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ:434172584) მის მიერ წარმოდგენილ ,,შინმოვლის“ პროფესიული მომზადების პროგრამის დადასტურებაზე.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ